

ნიანბი

1933 წლის 1931 წლის №24 ნანაკი 15

საქართველოს
საბჭოთაო



კაპიტალიზმისათვის
თავდადებულ მებრძოლს
მე-2-ის ინტერნაციონალის გზის
სოციალ-დემოკრატს
კავშირისაგან

J. Nadar

— საკვირველია, კაპიტალისტები სოც.-დემოკრატებს ძეგლს უდგამენ!
— რატომაც არ უნდა დაუდგან? თუ არა სოციალ-დემოკრატები, ამდენხანს მსოფლიო რევოლუცია დაამ-
ნობდა კაპიტალიზმს!
ნახ. ნადარეიშვილის.

გებიას ფილოსოფია

ბებია ელპიტე დღესაც „ცნობი-
ლია“ ჩვენს სოფელში, როგორც
„ბრძნული მოაზროვნე“, თუმცა მას
აზროვნებში არაფერი გააჩნია. საინ-
ტერესოა, რომ მას „მიმდევრები“ და
თაყვანის შტემლებიც ყავს, ეს ის ხალ-
ხია, რომელსაც საბჭოთა წყობილება
„ღვთის რისხვით“ მიაჩნია.

ბებიას ბევრი რამ არ მოსწონს თა-
ნამდროებიდან და ბოლშევიკებს თა-
ვის გულში ხშირად „შეუკურობებს“
ხოლმე.

ამავე დროს სიფრთხილეს იჩენს
და „ენას იმოკლებს“, თუმცა ჩვეუ-
ლებას ვერ იშლის და მის „გულის
ტკივილს“ ჭარბგულთა ლაპარაკით
და „ღრმა აზრების“ გამოთქმით ამ-
ყვანებს, რომელსაც სულ არა თუ
მსმენელი, თვითონაც ხშირად ვერ
გაიგებს ხოლმე. ჩვენი სოფლის „ჭა-
რაფშუტები“ და „ჭკუათელები“
ყურადღებით უსმენენ მას და მოწო-
ნების ნიშნად თავიანთ გამოფიტულ
თავეებს უხრიან.

უცხონდა მშობლები, რა ღრმა აზ-
რების პატრონი მაგი ყოფილა, —
ტუბნებიან ერთმანეთს მისი „მიმდევ-
რები“.

გამოჩრჩხელდა უბედური, თვითო-
ნაც არ ესმის, რასაც ბოდავს — ამ-
ბობნენ მასზე სოფლის მოწინავე პი-
რები, რომლებიც დაცინვით მას „ელ-
პიტე ფილოსოფოს“ ეძახიან. აი, ერ-
თი ნიშნით ბებიას „ფილოსოფიუ-
რი აზროვნებისა“:

ეს იყო ძველად.
ერთხელ მან ჩაჩნი სოფლის ერ-
ერთ ღარიბ გლეხს ასეთი დარბევა
მისცა:

— შე საწყალო, შენა, დილიდან სა
ღამომდის რომ წელზე ფეხს იდგამ,
იტანჯები და ოფლს ღვრი და მაინც
მშიერი ხარ, უმჯობესია არ იქნება არ
იძუშაო და არაფერი გააკეთო?

სულ ერთია იმუშავებ მოკვდები და
არ იმუშავებ — მაინც მოკვდები...
ბებიას „მოთაფლული“ სიტყვებით
გლეხი მოხიბლა და მუშაობაზე ხე-
ლი აიღო.

ვინც არ მუშაობს არ სჭაპსო, —
ეუბნებოდენ მას.

არ გასულა დიდი დრო, საწყალო
გლეხს უკმელობით კუჭი გაუხმა
და მან სული განუტევა.

ასე იმსხვერპლა ბებიას ფილოსო-
ფიამ ღარიბი გლეხი.

ამ დღეებში მის დანაოკებულ სა-
ხეს ღიმილი გადაეკრა.

მის წინ ჩემი პატარა გოგონა, პი-
ონერი თამრიკო იდგა და მას ახალ
გაზეთს უკითხავდა.

— ბებია, რატომ გაიღიმე! გაკვირ-
ვებით შეეკითხა მას თამრიკო.

— რატომ და ძალიან მომწონს ის,
რასაც კითხულობ.

იმპერიალისტების ნაწიკება

„მშვიდობიანობის“ მტრელებზე

ნახ. დონის.



იყო მისი პასუხი.
როგორ? განა მისტერ ტროცკის
ამბდა - უბდა“ მისაღებია? მან
დიდი ხანია „წესი აუგო“ ჩვენს რე-
ვოლიუციას?

ის ხომ ჩვენს დამარცხებას წინა-
სარმეტყველებდა, ეხლა კი... ეხლა
ხუთწლედის გამარჯვებაზე ლაპარა-
კობსო. ვის აინტერესებს დოის ტროც-
კი და მისი დაბნეული „თეორიები“
პიონერულად შეუტია მას თამრიკომ.

— მე ის მომწონს, ჩემო გოგონა,
დაიწყო ბებიამ, რომ ბატონი ტროც-
კი ჩემს აზრს იზიარებს.

მე ვამბობდი: ბოლშევიკები თუ
დამარცხდენ, ვერ გაიმარჯვებენ მეთ-
ქინ, ეხლა კი ვამბობ: ვინაიდან ბოლ-
შევიკებმა გაიმარჯვეს, ისინი არ და-
მარცხებულან. რაც შეეხება ბოლშევი-
კების მომავალს, მე ვამბობ, — თუ
ბოლშევიკები ასე გაიმარჯვებენ, რო-
გორც ხუთწლიან გეგმის შერულებმა-
ში, მაშინ ისინი არ დამარცხდებიან...

— ხა, ხა, ხა, — გადინარხარა თამ-
რიკომ და ცხვირის წინ ათივე თითე-
ბი გაშალა...

ბებია ჩემო შენი „ფილოსოფია“
ტროცკისთვის დამილოცია და მის-
ტერ ტროცკის „თეორიები“ კი
შენთვის მიჩუქნია.

თამრიკო ჩემს კაბრეტში კისკისით
შემოიკრა.



მ ი ე ო ს ი ლ ვ ა

ნახ. ქოქიაშვილის

საზრანგეთიდან

„ბანკ დე ფრანსის“ წინ დაიხოქეს აქლემებმა.

— რა მოხდა ისეთი?
— საფრანგეთმა მოიგო უდიდესი და უძლიერესი ბრძოლა.
— რომელი ბრძოლა? თუ ვერდენის ან მარნის—ეს ხომ ძველი ამბავია.
— არა! სწორი უკანასკნელი ბრძოლა! ფინანსური ბრძოლა.
— ფრონტი სად იყო?
— ფრონტი გაშლილი იყო ნიუ-იორკიდან ჰუტონინამდე — ლონდონში და რომში გაშლილი.
— მერე?
— მერე ყველანი დაამარცხა როგორც უიარაღო ბერები და ხარკით გადახდებინა — საკუთარი ოქრო, აი, ეხლა ეს ოქრო მოუყვადიათ აქლემების ჭარაფანით და უნდათ ჩაასილოსონ „ბანკ დე ფრანსის“ სარდაფებში.

(აღუსს ჩვენი კოლექტივების წარმომადგენელი არ არიას იქ, რომ ისწავლონ საუკეთესო სისტემის ჩასილოსება!)

იქ კი—მინისტრთა საჯაროებში დიდი ბორცვაა, შფოთვა და ბრუნვა: ეძებენ გაჭირვებულ და სანდო მეზობელს, რომ ცოტადღენი მოგებით გაასესხონ ეს დაგროვილი დოვლათი.

ინგლისიდან

როგორც მორჩილებას ჩვეული კაცი — მეფისა და კაპიტალის წინაშე (არ გვენოთ მარქსის კაპიტალის წინაშე)—მაკლონალი არ არის დატვირთული დიდი თავმოქონებით.



მან რომ დამარცხება განიცადა, თვითონვე უნდა ვაეწყველა თავისი თავი, გაძევებულიყო მთავრობიდან და ჩარეულიყო უმუშევართა ლაშქარში.

მაგრამ... დამარცხების შემდეგ მაინც მოინდომა რაღაცა ფეოდალების გამოჩენა და მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

გადასწყვიტა: ბრიანის ჯაგრი იყაროს უმუშევრებზე, „ბანკ დე ფრანსის“ მიერ დაცარილებული თაროები კი შეაგოს უმუშევრებიდან წართმეული პენსებით.

მაგრამ როგორც ყველა მოზარდ მინისტრს ჩვევია, არც ის ერიდება საჭირო

სწავლის შეძენას თუნდა უცხოეთშიც კი. და აგზავნის საბჭოთა კავშირში თხოვნას, რომ ჩარიცხონ იგი მსმენელად—უმუშევრო ბასთან ზრიოლის კურსებზე.



„ვერ მიგივობთ მსმენელად უმუშევრობასთან ზრიოლის კურსებზე, რადგან ასეთი კურსები არც არსებობს ჩვენში და მათი არსებობა არც არის გათვალისწინებული როგორც პირველ ისე მეორე ხელწოდებში“.

სხვ თვითონ გამონახა საშუალება ჯერჯერობით!
რადგან თავისაწინები ვედარა სცნო საიმედო ხალხით, გადასწყვიტა—ისინი გამოაპანდუროს თავისი კაპიტალიდან. სამავიეროდ კი იწვევს კონსერვატორებს და ლიბერალებს, რადგან მათი შემწეობით უფრო გაძლიერებულ ტემპებით აწარმოებს ბრძოლას უმუშევრების წინააღმდეგ.

მიუხედავად მაკლონაოდის ასეთი განზრახვისა, უმუშევრობა უფრო იზრდება, როგორც სოკო შემოდგომის ავდრის შემდეგ. ანგლისი უკვე ითვლის რვა მილიონზე მეტ უმუშევარს!

(აღუსს ჩვენი შრომის კომისარიატი არ არის იქ ეგვე მაშინ მაინც ექნა ლიკვიდაცა თავისი უაქტიონისათვის და ცოტადღენი მუშა-ხელი ეშოვა ჩვენი წარმოებისათვის).

გამგანიიდან

დამშეულმა ბრიუნინგმა როგორც მუშაკობის დუქნებს—სე ჩამოუარა ნიუ-იორკის, ლონდონის, პარიზის და ბაზელის პანკებს, მაგრამ ყველგან ხელები უკან დაიწყეს და ცარიელ ობილით შეხვდნენ.

საწყალ ბრიუნინგს კი კუჭი ეწვის სიმშვილისაგან.

ვერსალის ძველი რეცეპტით კი გამოუწყურეს რაღაც მოსასულიერებელი წვეთები, მაგრამ ამითი კუჭს არაფერი მიჰკარებია.

საწყაო კაცს კი შია, რა უღმერთოდ შია! თუ მამაცხონებულ შვილს, ბრიანს სე მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ბრიუნინგს სიმშვილით სიკვდილი, მაშინ...

მაშინ მის მომზარებებს გადასცემდა ცეკავშირს და იცოცხლე ის ამოხდიდა სულს რაღაც ორიოდ კვირაში.

იტალიიდან.

არც ბენიტო მუსოლინი ზის უქმად, როცა იმის ევროპული მოძვნი ჭირის ოდღის იწურავენ:

ზის პაპთან და ამკითხვინებს გულმოღვივნეთ:


— რამდენად დღევრძელა იგი იტალიის საბედნიეროდ?

პაპი ათამაშებს გიორის კრიალოსანს და ეუბნება ღირსეული წინასწარმეტყველივით:

— შენ ისეთივე დღევრძელი ხარ, როგორც ბოლშევიკები!

მუსოლინი სიხარულით ტარანტელს (მათებურ ლეკურს) თამაშობს მარტოთ და გაიძახის:

— შე მწამს, რომ ბოლშევიკები ყველაზე დღევრძელი ხალხია ამ ქვეყანაზე!
ნადირი.



(წინააღმდეგ თავისი ბუნებისა, რატომღაც ფიქრობს, რომ ეს საქმე ყველაზე უკეთესად უნდა იყოს დაყენებული საბჭოთა კავშირში).

საბჭოთა კავშირიდან პასუხი არ დაიზარეს და ფოსტამაც კეთილსინდისიერად ჩააბარა წერილი ერთი თვის შემდეგ: პასუხი ასეთი იყო:



4

ვეზუპი: თავისიანსაც კი აღარ მინდობენ, თავი ვერსად შემოფარებიან!

ნახ. ნადარეიცივილია.

საგეოლოგიური მარში გამტდენის

შრომის მაგიერ, იყავი მარდი გამტდენლობაში და ღიინის სმაში; ფხზე გეკიდა ამ ქვეყნის დარდი და დამკვრელობის დიადი მარში. ხან მთელი კვირით იკარგებოდი, სადაც მბა-ბიჭებს ქეიფი ჰქონდა; ქარხნისთვის იყავ შენ მძიბე ლოდი, ქარხანა შენით ავადმყოფობდა.

ღარჩა ქარხანას უკვდავ ხსენებად; დაუღვერობით რაც შენ აშენე, შენთან საფლავში ჩაესვენება, სახეოგანთქოლი, სიცოცხლე მთელ შენ შეალიე კრილა ბოთლებს; შენი სახელი შენვე გასთელე და ეს სახელი შენ ავაოთქლებს. შენ წარმოების „უკვდავი“ გმირი, უღროოდ მოკვდი ქეიფში, სმაში; მთელი ქვეყანა შენს გვამზე სტირის.

მიგასვენებენ გაცოინის მარშით. შენ საფინგეგმის იყავი მტერი; წარმოებისთვის ჩუმი ხანძარი დღეს კი ყველასთვის გამხდარხარ გერი, ხელის შემშლეოი და ცოცხალ-მკვდარი. მკვდრეთით აღსდგები შენ მხოლოდ მაშინ როცა ვაცდენებს აღმოფხვრი შენში მაშინ დაგიკრავს დამკვრელთა მარში და გაცოცხლდები აშუამაო ლეტი.

ინგლისის პარლამენტის სხდომა

მაკდონალდი (ტრიბუნიდან): — მე მინდა ვაცნობოთ, ბატონებო, რომ...

ბოლდუინი (აღვილიდან): — ქურდობა, ქურდობა... მოიპარეთ.

ჰენდერსონი (აღვილიდან): — როგორ თუ ქურდობა! რა მოვიპარეთ? ვის მოვპარეთ?!

ბოლდუინი: — პროგრამა მოიპარეთ; ჩვენ მოგვპარეთ, კონსერვატორებს.

მაკდონალდი: — დიახ, მე მინდა ვაცნობოთ, ბატონებო, რომ...

ბოლდუინი: — ჩვენი პროგრამა დაგვიბრუნეთ.

ჩემბერლენი: — მოგვეცით, მოგვეცით ჩვენი პროგრამა, რომელიც მოგვპარეთ, მოგვეცით...

მარგარიტა ბონფილი (წამოხტება) — ეს რა ცილისწამებაა! ნუ თუ...

ხმა ადგილიდან: — დაბრძანდით ქალბატონო, დაბრძანდით; ნუ ლაღვთ.

მეორე ხმა: — ცივი წყალი მიართვით (ხელი გულის გასაგრილებლად (საერთო სიცილი).

მაკდონალდი (განაგრძობს): — გაცნობებთ, რომ სალი შეხედულებით...

ლოიდ-ჯორჯი (დაცინვით იწყებს სიმღერას. მას ბანსა და მოძახილს აძლევენ სხვა ლიბერალები):

ბიჭო, ვისი ხარ მალხაზი

მოუკვდი დედა შენსაო...

გაჩანჩალებენ ერთხანს და, ცვლავ შემოვადებენ სხვენსაო.

პოლკოვნიკი ნუპკინისი („მუშათა“ პარტიის დელეგატი ლიბერალების სიმღერის დასაჩრდილავად, იწყებს ხმამაღლა სიმღერას):

ღმერთო, ღმერთო, დაიფარე ჩვენი რამზე მაკდონალდი...

მტრებს სცელავდეს თვის გარშემო, ვით ეკალ-ბარდს ზასრი წაღდი.

ლემპსონი (აღვილიდან): — განა ეს დასაშვებია ინგლისის პარლამენტში?

ხმა: — რა? პარლამენტში სიმღერა?

ხმა: — რა? პარლამენტში სიმღერა?

ლემპსონი: — არა, სიმღერა კი არა, — ქურდობა, სხვისი პროგრამის მოპარვა (კონსერვატორების სკამებზე სიცილი და ხმაურობა).

მაკდონალდი (დაბნეულად): — მინდა ვაცნობოთ, რომ... ბატონებო, რომ... რომ სალი მოსაზრებით და...

ჰენდერსონი: — აცალეთ კაცს ლაპარაკი.

ბოლდუინი: — ეყოფა! რის თქმასაც აპირებს, მე ეს სამი წლის წინედ ვსთქვი.

ხმა ადგილიდან: — ეგებ სხვას ამბობს, აცალეთ!

ბოლდუინი: — სხვას გერაფერს იტყვის... (მაკდონალდი წითლდება).

ლემპსონი: — აჰა! შეხედეთ მას! იცის კატამ ვისი პროგრამა შესჭამა.

ჩემბერლენი (დაცინვით): — მიაუ, მიაუ!

მაკდონალდი (შოთმინებიდან გამოსული): — მოვიპარეთ! მერე რა მოხდა, ბატონებო! ვისაც არასდროს სჩივის პროგრამა არ მოუპარია, დეე, პირველმა მან მესროლოს ქვა. (საერთო სიწყნარე ყველა სკამებზე)...

ლიახ, მოვიპარეთ. მე პატიოსანი კაცი ვარ, სიმართლეს ვამბობ, არ ვმა-

ლაე... და ამიტომ, ბატონებო, წინადადება შემომაქვს — ორივე პარტია, ჩვენი და კონსერვატორების გავერთიანდეთ ერთ პარტიაში.

ხმა ადგილიდან: — ლიბერალები? მათ რას უშვებთ?

მაკდონალდი: — ლიბერალები ჩვენ არ გვესაჭიროება.

ლოიდ-ჯორჯი: — არც ჩვენ გვინდობხართ.

ბოლდუინი: — აი, ეს მომწონს (ტრიბუნაზე ავირდება და ჩაეხვევა მაკდონალდს. ჰენდერსონი ჩემბერლენს ჰკოცნის, ლემპსონი — მარგარიტა ბონფილს).

ლოიდ-ჯორჯი (დგება და ვაბრაზებული მღერის):

დღეს, დღეს, დღეს წვიმა არ მოვა...



დღეს, დღეს, დღეს დარი გამოვა...

(მას აპყვებიან სხვა ლიბერალები და დემონსტრაციულად სტოვებენ დარბაზს*).

(გადმოღებულთა ჩუსულიდან)

***)** უკანასკნელი ცნობებით ლიბერალები დაობრუნებით პარლამენტის სხდომაზე, სადაც მომხდარ სამივე პარტიის გაერთიანება. ახალი მთავრობაში სამივე პარტია შედის. პრემიერად ისევ მაკდონალდი.

ნახ. დონის



ინგლისში მაკდონალდის პრემიერობით შესვა ახალი კოალიციონური მთავრობა, რომელშიაც შედიან კონსერვატორები და ლიბერალები.

ინგ. მუშა: — ვინ იტყვის ჩვენს ქვეყანაზე, რომ იგი არ არის „დემოკრატიული“ — ლაქიას მესამეჯერ ირჩევენ პრემიერად.



გურული გლეხი

ბრიგადელი:—გამარჯობა შენი ამხანაგო!

გურული:—გაგიმარჯოს თუ კაია!

ბრიგად.:—როგორაა, ამხანაგო, საქმე? თესვა გაათავეთ?

გურული:—გავათავე, ძამია, მარამეც კალამ გავთავდი კაკალი კაცი.

ბრიგად.:—როგორ, ამხანაგო? შენ ხომ ტრაქტორით მუშაობდი?

გურული:—ტრაქტორი რომ დიდი რამე ყოფილა, მეც ქე გევიგე, მარამ ვადარეულმა ისე დაღლიტა დედომიწა და იმდენი ბელტები ამოყარა, რომ მოწიფული კაცი ვერ გადაახტებოდა.

ბრიგადელი:—კარგი, ამას თავი დავანებოთ. შენ ის მითხარი—ჩაის თესვა სულ მოათავეთ თქვენს კოლექტივში?

გურული:—რავა წაუხტი ყაძახი, ამდენხანს ჩაის ვერ დავთესდი? ჩაიც დავთესეთ, სოია, სილოსი, ლობიე, სიმინდი, კაბუსტა, ქარხალი, ხახვი, პრასა, ნიახური, ჰაშიდორი და პატრიუანი.

ბრიგადელი:—კი მაგრამ, ეს თავი რომ მიწა რომ დაგიტოვებია, რატომ არაფერი დასთესე?

გურული:—ამ ჩას რომ ვთესავთ და ვთესავთ და რომ გადავთესეთ ყოლიფერი, რავა შაქარი არ უნდა ჩაის?

ბრიგადელი:—მერმე რაა შაქარი რომ უნდა?

გურული:—ხოდა შაქარი რომ უნდა, ძამიავე, მეც იმიზე მეტად არ მიწა, შაქარი მინდა დავთესო. რავა გონია შენ?

ბრიგადელი:—სად გაგივია, კაცო, შენ შაქრის დათესვა?

გურული:—რავა არ გამივია, ძამია, ჩვენი მთავრობა ხომ იცი რას არ გამოიგონებს და რა საკვირელია, რომ შაქრის თესვაც გამეიგონოს.

ბრიგადელი:—არა, ამხანაგო, შენ რომ ვიფიქრია ასე შაქრის თესვა არ იქნება! ესლა ეს მითხარი, როგორ მიღის თქვენთან სესხის რეალიზაციის საკითხი.

გურული:—მოგეცა ლხენა, ჩვენი სოფელი წინ უსრებს ყველა სოფლებს. პირადათ მე ასი მანეთის მაგიერათ, ხუთმეტე თუმნის ობლიგაცია შევიძინე.

ბრიგადელი:—მაღაღეც, ასედაც უნდა... ესლა რომ ავალ ტფილისში, მოხსენებას გავაკეთებ და წითელ დაფაზედაც გამოგაქარავთ... მშვიდობით ამხანაგო...

სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე სტომია-შვილი. ვაიცანით, რისხვა კულაკებისა, მენი პოლკულაჩნიკებისა, ცეცხლი დედლებსა და ზარბაზნის დიაკონათათვის.

სტომია-შვილის სახელის გაგონებაზე ძრწოლი უჩრე ყოველი, იქნება იგი კოლექტივში შემძვრალი კულაკი, თუ საყდარს განშორებული ხუცესი დაყუდებული.

სტომია-შვილის აქვს თავისი მანია. ეს არას კოლექტივმანია. მისი ყოველი ზრახვა კოლექტივის რიცხვობრივი ზრდისაკენ არას მიმართულია და:

ძრწოდით თქვენ, მტერნი ციფრებისანო, რადგანაც სოფელში ვერ დარჩებით, თუ კოლექტივში არ შეხვედით.

შოლოდ ერთი „უშინიშენლო“ ნაკლი აქვს სტომია-შვილს: მას უყვარს ციფრებს განმოდენება, იგი ვაგიყებულა ციფრებით, პროცენტებით, უპროცენტოთ, ისიც უპროცენტოთ (კოლექტივიზაციის დარგში) მას ცნობარება ვერ წარმოუდგენია.

თავის სასოფლო საბჭოში მან სამი კოლექტივი დაარსა, ჩქარა მეოთხე მიღობატა, მალე მეხუთე მოაწყო და ბოლოს მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლას აპირებდა.

— კაცო, მოიცა, ჯერ ეს კოლექტივები გავაშავროთ, სული მოვთამევენთო! — უჩრეოდენ ამხანაგები სტომია-შვილს.

— რაო მოიცაო? ტემპები შევანდლო? ოპორტუნისტულ ჭაობში ჩაეფლეთ?

— ე ბიჭო, სანარდო სისტემა შემოვიღოთ!

— არავითარი სანარდო! სანამ მთლიან კოლექტივიზაციაზე არ გადავალ, სანარდო არ გამავროთ!

— შრომის აღრიცხვის წიგნაკები მინაც დავარიგოთ!

— ამას უყურე! რა დროს შრომის აღრიცხვაა, რა გამიკეთე, რომ აგირიცხო?

— კი მაგრამ შრომის ორგანიზაცია ხომ არის საქართველო კოლექტივიზაციაში?

— არ ვიცი მე არავითარი ორგანიზაცია! მე მაქვს ჩემი ხაზი: სულ რომ გადაბრუნდეს ყველაფერი, მთლიანზე უნდა გადავიდეთ!

— ტრაქტორები და მანქანები მინაც შეგვიძინა!

— შეხვედით ერთი, ეს ხალხი როგორ გადელკატა უტრაქტორით მუშაობს აღარ კადრულობთ? მთავრით ყმაწვილებს ფორმონი და „ინტერსაციონალი“ იქნებ კომბაინსაც შეგებთ? — იციანის სტომია-შვილი.

— კი მაგრამ შრომის აღრიცხვა და სანარდო სისტემა თუ არ იქნა, მოსავალი როგორ გავანაწილოთ შრომის მიხედვით?

გურული:—მეიცაი, აფხანაგო, ერთი დასამოწმებელი მაქვს ტფილისში.

ბრიგადელი:—ვისთან?

გურული:—ვისანე, ძამიავე, და მთავრობის თავმჯდომარე რომ არის ლადო... ვერ იცნობ, თუ?

ბრიგადელი:—ლადოს როგორ ვერ ვიცნობ! ის ჩემი კარგი ამხანაგია.

გურული:—შაქარი შენს ენას, ჩემო ძამიკონავ. ავა, ახლა ქე მაქ იმედი რაც მან დაგვიბრდა აქნაი რომ გვესტუმრა, ყველაყაის შეგვისრულელებს.

ბრიგადელი:—რასაკვირველია, თუკი დაგვირდათ კიდევაც შეგისრულელებს.

— როგორ და ადგები, შენ ხარ ჩემი ბატონი და დავარიგებ თანხარათ: კოლექტივი იმიტომაა, რომ ყველამ ერთნაირად უნდა მიიღოს და ჰქაიოს. ეგებ მე ობიექტურ მიზეზების გამო ვერ ვიმუშავე და შენ წაიღებ ყველაფერს? დამტოვებ ხანაშროლს?

კარგი კოლექტივისტი ყოფილხარ. აგერ ჩვენი ალმასანი კოლექტივის აქტიური წევრია, ამ ზაფხულს ერთი თვით ცოტა ცოტას ფეხზე ვაჭრობდა კაცი, კარგია ხელს მოითბობს, ადექი ახლა და ნურაფერს მისცემ კოლექტივიდან, ხომ გავა ხელათ, ხომ ჩაგვეშალა მთლიანი კოლექტივიზაცია?

— კი მაგრამ ალმასანი ვაჭარია და არა აქტივისტი. ამას გარდა, აგერც ერთი ჩვენი კოლექტივი გეგმას ვერ ასრულებს, თესვაში ჩამორჩენ, მაგრავლა-თხნაში ჩამორჩენ, სილოსში ჩამორ...

— ჩამორჩენ და ჩამორჩენ! გეგმას არ უყურებ მე! მე მინდა მთლიანი კოლექტივიზაცია, ვინც შევა კოლექტივში, ვინც არა ვადასახლებ სოფელდან, ვინც იყოს რატა-კი ერთი-ორი კულაკი ავდია, მაგათ და იმ დედელს ვგერ მივცემ მომალლოთ სამოსახლოს. წაიღონ ქონება, თავისი ხარ-კამეჩო და იყვენ, გავხში კაცი მაგათი შემხედვარე, გადასახალს არ იხდიან და მტკიცე დავალბას არ ასრულებენ. ასეთ კულაკს რაღა უნდა ელაპარაკოს „ეპოში“ მაგათ ვერ შემოუშვებ, იქვე ვაუხსნი ერთ პატარა „იპოს“ ბუდკას. თავში ქვა იხალონ.

— კი მაგრამ, მტკიცე დავალბებებს აღარ მისცემ?

— რა დავალბება უნდა მისცე ბიჭო კულაკს და მტერს? ამხანაგია ჩემი თუ? რომც დავალო, შეგისროლოვს? წარევანდელი წილა ვადალებ, მაგრამ კაკი არ მინახავს მაგათგან. აწი ვაჭარიყველები, თემოყვარეობა არ მაქვს თუ? ჩვენ ჩვენთვის, ევენი თავისთვის, ვნახოთ ვინ მოიგებს...

ასე მსჯელობდა ჩვენი სტომია-შვილი და თავგაწოდებით მისდევდა მთლიანი კოლექტივიზაციის გაბერულ ციფრებს. ვინ იცის, სანამდე მივიღოთ იგი, რომ სოფლის საბჭოების დავალიერებას არ მიესწრო. დავალიერებამ გაბოროტა მისი „მემარცხენეობა“ და აგრეთვე იდეოლოგიური კავშირი კულაკობასთან, სტომია-შვილი წამოიყვანეს და ახლათ მუხუფში მოაოჯახებენ, როგორც იშვიათ ეჭვმპლიანს.

ალღარ-ალღარსან.

გურული:—დაგვიბრდა, ავა, ვიტყუებ. იქნაი არ უყურებდა სირბის-ტელეს სერგეი, კითხე იმას და ქე გეტყვის.

ბრიგადელი:—მაშ კარგი; მე გადავცემ ყველაფერს.

გურული:—მომიცადე, აფხანაგო, ერთი დამამიწყტა კიდევ... იგიც უთხარი ჩემს ლადიკოს, ჩამოდი ერთი თუ მეცალო და შენს გაკეთებულ გზით ავტომობილით გავიგრილოთ, ჯერე მყავე წყალზე და მერე ბახმაროზე-თქო. ავა შენ იცი თუ არ დაგავწყდება, მშვიდობით გენაცხვალე.

ბაყაყები

(იბაზი)

გაზაფხულზე,
 როცა აღსია მინდორად ფშალა,
 როცა ტყეში,
 ხეზე კვირტი გაიშალა,
 როცა მზისგან
 აღუვლა და გალბა მიწა,
 ცამ ღრუბელი
 მთისსა თუ მოიფხრიწა:
 წამოვიდა
 ხშირი წვიმა, ადგა დგარი
 და ლანქერმატ
 გადმოიხა მთების ზოგარი,
 წტეებსა თუ ქაობებში
 აყიყინდენ
 ბაყაყები, და მათ ხმებში
 ზეიმის და
 ქედმადლობის სჩანდა ტონი
 თითქოს იპყრეს
 მიწა და ცის კაბადონი,
 თითქოს ეს დრო,
 ეს კეკლუტი გაზაფხული,
 იყვეს მათი
 მზაგი და ქირანხული!
 თავს-ლა ხედვენ
 ყოველ ხმას თუ მაგალითში:
 მათთვის ნათობს
 თითქოს იქ მზე, ცის ზენიტში,
 მათთვის იყო
 თითქოს ცამ თუ გადაიდა,
 თუ რომ წვიმდა,
 ეს წვიმაც ხომ მათთვის იყო,
 ჰქრის და ქარიც
 მათი არის (თუმც იქ, თავში),
 თუ ღონეა
 სადმე, არის იმათ მკლავში:
 თუ თოხნიან,,
 ეს იმათი ურტყამს თოხი,
 ამ ხმითაა,
 რომ ყრუდებდა მთის ორწოხი!
 თუ ჰბარვენ და—
 ეს ხომ მათი ბარავს ბარის,,
 ერთი სიტყვით:
 მათი არის მთა და ბარი,
 და მათი ხმაც
 ღზინია ამ ვამარჯუებების:
 გაზაფხულის
 მოსულის, ზამთრის დამარცხების!
 აი, რაა
 ბაყაყების ამ დროს მრწამსი!
 ერთი სიტყვით—
 „ზედი მომეც—ქვაზე დამსვი“!
 მაგრამ ჩვენც ხომ
 ვერ ავყვებით იმ ბაყაყებს,
 რომ იმათებრ
 გადავიდეთ ჩვენც მაღაყებს!..
 რად ივარგებს
 მაშინ ეს ხმა, ეს აკკორდი?
 მოგვიწონებს
 ამას, განა, მთა, ტყე, კორდი,
 ველ-მინდორი,
 მთის ხევი თუ ბარში ქალა?
 განა, ყლორტი
 ხეზე მისთვის გაიშალა,
 მისთვის აღსდგა,
 განა,მინდვრად ფშალა, ბაღბა,
 რომ იქ სადღაც
 ბაყაყები ასტყდენ, დაბლა,
 და ყიყინით
 სულ აიკლეს მთა და ველი?
 და თუ არ ვცსურს
 ჩვენ შეცდომა, უმეველი,
 თუ არ გვინდა
 ჩვენივ თავის გაბანება,
 ჰხამს ბაყაყებს
 მედგარ ხმით „სსუ“ს შეძახება,
 რომ მათ ყიყინს
 თუ რამ მოსდევს თავის ღღეში,
 უგი მხოლოდ
 წვიმა, და მოსგან თქემში!.. ონისნიმ.

ოსინსკიმ სთქვა


„საბჭოთა დღეგაცია ამხ.
 ოსინსკის თავმჯდომარეობით გა-
 ეშვავრა ამსტერდამში, სადაც
 საბჭ. კავშირი მიწვეულია გეგ-
 მიანი მეურნეობის საერთაშო-
 რისო კონგრესზე მონაწილეობის
 მისაღებად“.

ოსინსკიმ სთქვა: — ამ კონგრესის
 არაფერი მე არ მრწამსო,—
 მაგრამ ჩემსას მაინც ვიზამ,
 მაინც წავალ ამსტერდამსო.
 ვიცი: უნდა ვებასო
 რამდენ ჩერჩეტს, რამდენ „ხამსო“,
 მაგრამ ჩემსას მაინც ვიზამ,
 მაინც წავალ ამსტერდამსო.
 ჰციო—რამდენ პატივსაც ვსცემ
 კაპიტალის გახრწნილ გემსო,
 მაგრამ ჩემსას მაინც ვიზამ
 მაინც წავალ ამსტერდამსო.
 იმათ უჭირთ, მერე მე რა!
 იმათ ხომ არ უშველიო.
 ასემც უნდა მომხდარიყო —
 კანონია უცვლელიო.
 ამ ყმაწვილებს, ალბად მოსწოხთ,
 ჩვენი გეგმა — ხუთწლელიო,—
 მაგრამ როცა დამპალი აქეთ
 ტვინის ყველა უჯრედლიო,
 რა უშველით, რა მოარჩენთ
 რა შეარჩენთ პირში სულსო?

რა წამალი შეერგება
 სამუდამოთ განწირულსო?
 მათ „ღობტურად“ მე არ მივალ,
 არც ვარ მათი მრჩეველიო;
 სიტყვა მიმაქვს ამ კონგრესზე,
 სიტყვა დასაქვეველიო.
 ავდგები და სიტყვას ვიტყვი,
 არ დაეჯდები იქამდეო, —
 სანამ მათ ტყავს არ გადაცილი,
 ტყავს სულ კულის რიკამდეო.
 გეგმა უნდათ, ხუთწლედითო,
 უნდათ რომ ჩვენ მიგვაძინო;
 არ სურთ სიკვდილს შეურჩენდენ,
 უნდათ ისეც იბატონონ.
 ვიცი, საით უმიზნებენ,
 რისთვის უნდათ ეს გეგმაო;
 ჯერ მუშათა კლასს დაჰკრავენ,
 შემდეგ ჩვენთან სურთ შებმაო.
 მაგრამ ისეთ ამბებს ვიტყვი,
 რომ სულ ყველამ იწყინოსო;
 თავმჯდომარე ბრაზით გასკდეს,
 თითები დაიკბინოსო,
 ჰუეერს ჰქუა აერიოს,
 ბრიანს კეუა ეტკინოსო,
 ჩემბერლენს კი გააციოს,
 ჰაკონალდმა — იწყინოსო.
 ოსინსკიმ სთქვა ამ კონგრესის
 არაფერი მე არ მრწამსო,
 მაგრამ ჩემსას მაინც ვიზამ,
 მაინც წავალ ამსტერდამსო.
 სეგვირა-ბენ-შიის.

ფოტო-სურათები ჩვენს პურნალ-გაზეთებში

ნაბ. მოქიანვილი



— დურბინდი მომიტანე, შვილო, ეგებ რამე დავინახო!

ნიანგის გაფრენა საზღვარგარეთ

თანხმად ნიანგის ბრძანებისა, რომლიდანაც ამონაწერს აქვე ვათავსებთ:

ყოვლად ძლიერმა უძლიერესმა დიდად ნიანგმა ასე იწვინა: ყოველ ქვეყნებში მოეწყოს სწორად გაფრენა-ტურნე და მივიღოთ და მკითხველთათვის გაეცნოს მათი, ვინც ძალღებსათვის კვლავ იკბინება...

ჰო-და, თანხმად ამ ბრძანების ჩვენ (მე და ნიანგი) ჩავჯექით თვით-მფრინავში და გაფრინდით.

ფინანსდღის საზღვარზე

ჩვენი ყურადღება მიიპრო უღბა რუნმა და ყვირილმა. ვაღმობიებდით და დაფრინებდით—ფინანსი ფაშისტები ჩვენს საზღვრებზე სამხედრო ვარჯიშობას აწარმოებდნენ. გენერლებს რუქები ვაგზავლათ და შემოტყევის გეგმას ამუშავებდნენ. რუქებზე წარწერასაც მოვკარით თვითაღი.



ფინანსდღი, რომელიც განწირულია და დამერიცხება მოელის.

— ფინანსდღი!—ამოიკითხა ნიანგმა. — ალბად ფინანსიური გეგმის დიარამებმა, და ჩვენ კი რუქით მოგვეჩვენა!—გადავუღაპარავე ნიანგს. — ჰმ!—ირონიულად გაიღიმა ნიანგმა.—დიარამმა კი არა, ნამდვილი რუქია. „ფინანსდღი“ ფინანსიურ გეგმას კი არ ნიშნავს არამედ ფინანსდღის გეგმა (ფინანსდღი). რომელიც დღე-მაგრამ ეს არის ფინანსდღი, რომელიც განწირულია და, რომელსაც დამერიცხება მოელის. მიმართულება ვიცვალეთ და რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე მიგფრინდით

გამანაწილი

ჩვენ ვათვალისწინებდით გერმანიის ქალაქებს. — აქ ყველაფერი ისე აფორიაქებულია, რომ კაცი ვარაფერს ვაიბნის. საჭიროა ვინმე ადგილობრივი კაცი გვეკავდეს, რომ მდგომარეობა გავაუცნოს!—გამოვსთქვი ჩემი მოსაზრება. — ყოჩაღ! როგორ მოვივიდა ასეთი მკვიდარი აზრი? შენგან ამის არ მოველოდი!—გაუხარდა ნიანგს. — ცოტა არ იყოს, მეწყინა ასეთი შეურაცხველი, მაგრამ როცა შევატყუე რომ ნიანგი მისხუმრებოდა მეც ვამხუმრებ: — რას ვიზამთ! კაცნი ვართ. სწორად შევინიჭე ამბობს სისულელეს! — ამ ლაპარაკში ნიანგმა თვითმფრინავი... ჰო, კინაღამ დამივიწყდა — თვითმფრინავს თვითონ ნიანგი მართავდა... ძირს დაუშვა. ბევრი რომ არ გაგაგრძელო, თვითმფრინავში ჩავისვით ერთი ადგილობრივი მუშა და ისევ აფრინდით. მაგრამ აქ საჭიროა ერთი შემთხვევის აღნიშვნა, რომელსაც ადგილი ჰქონდა მიწაზე ჩვენი დაშვების დროს. გერმანიის ორი მინისტრი ერთმანეთს ელაპარაკებოდა:

ავფრინდით თუ არა, მაშინვე საზღვარი აურზაური და ლანძღვა-გინება მოგვესმა.

— ეს რა ამბავია!—ვიკითხე მე. — პარლამენტის სხდომაა. სოც.-დემოკრატი მინისტრი სამუშაოზე ღვასის შემცირების შესახებ კანონპროექტს კითხულობს.

დავაკვირდით, საშინელი ცემა!

— ასეთია ყველა კაპიტალისტური ქვეყნები, მაგრამ წყალი უკვე შეუღება. ყველა ქვეყნებში ძლიერდება ჩვენი პარტია და ღღის წესრიგში მსოფლიო მუშათა კლასს ოქტომბრის რევოლუციის საკითხი უღვას!—გამოგვემშვიდობა ჩვენი თანამგზავრი და ჩვენ ჩვენი გზა ვანავარდით.

საშინელი პროტესტის ხმა ისმოდა. — ეს მუშებია, სამუშაო ღღის შემცირებას მოითხოვენ!—გვითხრა თანამგზავრიმა მუშამ.

ნიანგმა თვითმფრინავი დააყენა. პრობლემა გაჩერდა. (თქვენ გგონიათ—ეს შეუძლებელია? ნიანგს ყველაფერი შეუძლია). პარტიში სიჩუმე გამეფდა. ნიანგმა ფანარი დაანათა და მის შუქზე ჩვენ მალაროში დაფრინდით. — სოც.-დემოკრატი მუშას ელაპარაკებოდა.

ცოტა ვიფრინეთ თუ ბევრი ვიფრინეთ, ძაღლებს ყველა მოგვესმა. ვაღმობიებდით და დაფრინებთ:




— ეცი, მურია, ეცი, ეცი!—უსისინებდა ძაღლებს კაპიტალისტი.

— ნეტავი ვისზე უსისინებს?—ვიკითხე მე.

— ვისზე იქნება, თუ არა ჩვენზე, მუშებზე. ჩვენზე გეშავენ და წვრილნიან მაძებრებსა და მწვერებს.

ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ტრაქტორისებური ხმა მოგვესმა და თანაც ტრაქტორისებური რაღაც დაფრინებდა. (ბურუსი იყო ცოტათი და კარგად ვერ ვარჩევდით).

— როგორ? ნუთუ ასე მალე შეუღებენ ივროპაში საშემოდგომო თესვას! — იკითხა ნიანგმა.



— „და გამოვიდა მთევარი თესვად“—დაცინვით სთქვა თანამგზავნი.



— რად გინდა სამუშაო ღღის შემცირება? შენთვის მაინც სულერთია. მთელი ღღის განმავლობაში სიბნელეში ხარ!

— აი, ასეთი „სოცილისტი“ მინისტრები გვეყავს კაპიტალისტურ ევროპის მუშათა კლასს!—სთქვა თანამგზავრიმა მუშამ.


ავფრინდით და პირველ ვაღმობიებდით თავინახეთ: ქოთნების მთელ რიგს წინ ეღდა ვიღაც მოხუცი. საკვირველი სანახაობა იყო. ჩვენ სიცილი ავკიტყდა და ვიკითხეთ: — ვინ არის ის მოხუცი?



— სოც.-დემოკრატების „გენერალისიმუსი“ კაუტცი და მისი გენერალური ხაზი!—დაცინვით გვითხრა მუშამ. ჩვენ გაგვეცინა და გზა განვაგრძეთ.

ეს კიდეც არაფერია. ჩვერში ცხრა პარასკევი ზოგიერთ ჩვენს ღირებულებასაც აქვს. მაგრამ ამ კაცის (ვინაა დერველდის) საკვირველობა ის არის, რომ ყოველ ქარის მოჭროლაზე ქვეყანაში იცვლება. აი, როგორ მოქმედებს თურმე ქარები ზოგიერთ ათამიანის ქვეყანაზე—დამიწყო ნიანგმა გრძელი ლაპარაკი.

— აი, შეხედე ვანდერგელდეს როგორ ბუზღუნებს!—და ნიანგმა ვანდერგელდეს დაშინა.



— რა გვიყო ეს საშინელება ამ ბებერმა! როგორ აქვს საბჭოთა კავშირს!—თითქმის ტირილით მოხტყვამდა იგი.

ეს ის ვანდერგელდესა, რომელიც შარშან ჩვენში იყო და ძალიან „მოვეწონეთ“. ქათინაურებიც კი გვითხრა, მაგრამ ვის სჯავრა მისი ქათინაურები, რომლებიც ისეთივე იაფფასიანია როგორც რომელიმე ავარას სიყვარული.

ინგლისში

— აი ის, მოხუცი, ბერნალ შოუ, რომლის შესახებაც ვანდერგელდეს საყვედურბოდა!—დამანახა ნიანგმა სიმბატური და მუდამ მომლიბარი სახის მოხუცი.



— იმიტომ ვიცინი, რომ მიხარია საბჭოთა კავშირის წინსვლულობა... მე იმიტომ ვიცინი, რომ დავცინი ვანდერგელდესს და მისთანებს!—ამბობდა შოუ.

პარლამენტიდან საშინელი ჩხუპრობა ისმოდა. (ჩვენ ხელთ ჩავიკეთეთ სტენოგრაფიული ანგარიში, რომელიც მოთავსებულია ამავე ნომერში მე-5-ე გვერდზე).



— გრაფი არ გვეგონოთ. ბ-ნი ტომასია, „მუშათა“ მინისტრი, „მუშათა“ პარტიის წევრი... უუუუეროფულესი მონა და მსახური როგორც ღვთისა, ისე ინგლისის იმპერიალიზმისა და მეფისა!—გვითხრა ინგლისელმა მუშამ, როცა ბალუღად ლინდონის მუშათა უბანში დავეშვი.

ინგლისისაკენ გაფრენის დროს, ბელგიაში გავიარეთ, — აქაურ მინისტრ ვანდერგელდეს კვირაში ცხრა პარასკევი აქვს.



— უმუშევრებში ისევ ვანშირდა თვითმკვლელობა. არ მესმის—ადამიანები რატომ ისობენ სიცოცხლებს? ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ ხელ არაფერია აქვთ ხაქმე? ჰო-აი, მისი შიშითა ათორბობით.

გურჯი ლობიო

(ლევარსი როზროხადის ნამზობი).

გვეცხედ და ტფილისში გამგზავნეს დელიგანტად.

გვეცხედ არა სტანციის სადგურრიდან, ყველამ მე დამატანა თვალი; მეც, მოგვეცეთ ლხენა, მამალ ინდოურივით გავიბღინძე, რომ სირცხვილი არ მეჭმია ტფილისელ გურულეზიზა.

მივდივარ და ავერ ქე არ მესმის ყვირილი:



— გურული ლობიო, გურული ლობიო, გურული ლობიო!

ამივსა და სისხლი თავში. რაცხა ჭკუა მქონდა, სულ გადმომიტრიალდა. დევიწვი კაცი სირცხვილით, მოგვეჭრა თავი გურულეებს — ლობიოს გვიწოდებს ეს ოხერი.

— ვინცხა ხარ შენ, ენა დეიმოკლე, თვარა განახვებ სეირს. ლობიოცა ხარ და გომბიოცა და გომბიოზე უარესი. გურულეებისთანა მარჯვე ხალხი დუნიაზე სხვა არ არის და შენ ვისი მეცამეტე გოჭი ხარ, რომ გურულეებს ლობიოს გვეძახი; მეორეჯერ არ გაგიგონო მაგ სიტყვები, თვარა სორომგორომოდ გავიხდი მაგ გობსა და თავს-მეთქი.

მარა თქვენც არ მომიკვდეთ, ყურეც არ მათხოვა და ისევ მორთო ყვირილი.

— გურული ლობიო... გურული ლობიო!

დედაც მომკალით და ავია, რაგა მოგვეჭრა თავი მთელ გურულობას! რაფერ ჩევიდე ახლა სოფელში? რა თვალით შევხედო ჩემს მეზობლებს, რომ ვინცხა ოხერი ყველა გურულეებს ასე გვლანძღავს, ვითომ ჩვენ ლობიო ვიყოთ!

— გურული ლობიო, გურული ლობიო! — ჰირაპირ ჩემს წინ დაიყვარა იმ ოხერმა.

— გურული ლობიო, გურული ლობიო! — გამოიქახენ ეზოებიდან ქალები და ბაღნები.

დამეცა მეხი, ველარ მოვიტომინე და შევესახე:

— გურული თუ ლობიოა, ახლა ნახავ-მეთქი და გაუშალე სახეში.



„ვი დედაგო“ ერთი კი დეიძახა და წეიქცა. გობი თავიდან გადმოუვარდა და ურმიდან გამოვარდნილ ბორბალივით გაგორდა ეგერ ჰე, შორს ჩვენებური პარკი ლობიო სულ დეიძახა.

წამიყვანეს მილინციამში.

— რას ერჩოდი ამ კაცს? — შემეკითხა მორიგე.

— ვერჩოდი კიარა, უნდა მომეკლა, მარა შემეცოდა მაი გაჭირვებულის. გამომდგარა ამ ქალაქში და ყველა გურულეებს ლობიოს გვეძახის. ამას ჩიტი გულიც არ მოითმენს. მართლაც ლობიო უნდა იყო ვაცი, რომ აი შეიომინოს. ისე, თავს-ლაფი დავასხი ტფილისელ გურულეებს, რომ ყოველდღე ლანძღვენ თურნე და ერთხელაც ვერ მიბრიგვს ეს ვილაც ოხერია.

დამიწყეს მილიანციამში ჩიჩინი, რომ გალახული კაცი ჩვენებურ ლობიოს ჰყიდა და იმიზა იძახოდა ასეო, თვარა გურულეებს ლობიოს არ უძახოდია.

— რაგა გეპადრებათ მაი, გინდათ მომატყუოთ დელიგანტი კაცი! რა მაინც და მაინც ლობიოზე გვიხსენებენ გურულეებს! რაგა ჩვენში ლობიოს შეტი სხვა არაფერია სახეირო! დეიძახონ, ბატონო, გურული ჩიი, გურული სოია, გურული თხილი, გურული შვი ვაშლი და რა ვიცი სხვა ანისთანები. თვარა აი რასა ჰგავს, გამომდგარა ამ შუადღეზე ამ ხელა ყ-ზახი და გურულეებს ლობიოს გვეძახის. მამის სული ნუ წამიწყდება, მეორეჯერ რომ გვეიგონო გურულეების ასეთი შეურაცყოფა, ან მაი იქნე, და ან მე... ახლა მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ კი არა ამობრძანდით საკანში! — მითხრა მორიგემ და ამ თქვენ ლევარ-

გურინჯი

არ გვეგონოს არვის ჩიტი, ხიდან ხეზე რომ დაფრინავს, მწერს რომ იჭერს, გლესს ხელს უწყოფს,

თვისი ჯრომით რომ წნავს ბინას, არ გვეგონოს ვინმეს ბატი, ზღინარეში რომ დასცურავს; ლინლს რომ გვაძლევს, ხორცსაც გვაჭმევს,

და ხელს გვიწყოფს მამაცურად. არც ლამურა არის იგი, ლამით ცაზე რომ ნავარდობს; ყოლო - ბუზებს მუსრს რომ ავლავს, მავნე მწერებს ადევს და აკრთობს, არ გვეგონოს თვითმფრინავი, ცის სივრცეში მოფრიალე, ქვეყნის მცველი, მოდარაგე, შრომის შვილთა მოტრფიალე, იგი უფრო ორბს წააგავს, მტაცებელ და სისხლის ბელადს, ყვილას ზიანს რომ აყენებს. დათარეშობს მთა და ველად. იგი უფრო არწივსა ჰგავს, მხეტურ ბრჭყალებს რომ ილესავს, მშვიდობიანთ თავს რომ ესხმის, სასიკვდილოდ და საკვენსად.

ზოგჯერ იგი გუგულაი, კვერცხებს რომ სდებს სხვის ბუდეში; ერთ ადგილას ვერ ჩერდება, დაფრიალობს კლდე და ღრეში. ნამდვილად კი იგი არის ამივეზე უარესი, ქვეყანას რომ ჩუმად შხამავს უმძაფრესი მისი გესლი. იგი არის ქარხნის მატლი, ჩუმად დაზგებს ძირს რომ უღრღნის, ჩვენი ქვეყნის მშენებლობის უმძაფრესი, ავი ბურლი. ის დამკვრელთა მუწუქია, საბალღამოდ გამოსული; ხელის შემოლით, მავნებლობით სავსე არის მისი სული, ცოცხლად არის ჩაძირული ზღვის უფსკრულში მისი ნავი, მისი სახელწოდებაა: მავნეელი და მფრინავი.

კუჭიანი

სის არ ატკოციეს თავი კუჭუს-კაში!


კითხე ვაი, რომ კომინარი გურული გამოთვა, საღამოს მოვიდა და გამომკითხა ყოლიფერი. მეც ვუამბე, იცინა და იცინა, იცინა, იცინა და ქე გამანთავისუფლა.

— შენისთანა კაი გურულს რომ ლობიოს გვიწოდებდა, მეც მიტომ გავლახე-მეთქი! — მალლობა გავუხადე და წამოვედი.

ერთს კიდევ ვაპირებ ტფილისში წასვლას და თუ კიდევ ჰყვირის ვინმე „გურული ლობიო...“ მოუკლავი არ ვადაპირებთა იცოდეთ.

ზმუკი.

10



ავარაკ ჭლაქ ჯავაში
 პანსიონატის ბინაზე —
 რწყილებმა კრება გამართეს
 დამსვენებელთა ჯინაზე.
 დანაწილეს მოსულნი —
 ჰკბინონ ღამით და დილაზე;
 ყმარაო ხალხთა დაზოგვა,
 მორიდება და სინაზე...

დიასახლისი ბოდიშობს,
 ვწუხვარო, ამბობს, ძალზედა,
 მე თქვენი ტანჯვის შემყურეს
 ცრემლი მადგება თვალზედა...
 გული სწუხს, გული ღონდება,
 გავხდი, ვიღვევი დარდითო,
 მაგრამ თუ ველარ გაუძლებთ, —
 მიბრძანდით, სახლში წადითო...
 ტრ. წითელ მთიელნი.

მიტრო სტუდენტი

მიტრო, ანუ სხვანაირად დიმიტრი, ჩემი სიყრმის მეგობარია ერთად ვსწავლობდით ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში და ერთად უნდა დაგვემთავრებია იგი 1917 წელს.

ყოველ შემთხვევაში 1919-ში მიტრო უკვე სტუდენტი იყო და წყნეთის ქუჩაზე ილიაში პროფესორის ლექციებამოდებული დასეირნობდა.

— მეორე კურსზე ვარ, — მითხრა მიტრომ, — ღამეებს ვათენებ... მინდა ჩქარა გავათაო უნივერსიტეტი... მონეცი ერთი პაპიროსი... ჰო, შენ არ ეწვევი... წამო კვასი დავლითო... სიკო როდის გექნება დრო, როდის ჩაუქუთოთურთო ჩემი საყვარელი სიმღერა? — და ჩაიღიღინა:

ქუთაისშიი წვიმა მოდის
 ზესტაფონში და-რი-ააა.
 ჩემი ასე გაგი-ჟეე-ბა
 ბარიშნე-ბის ბრალი-ა.

1921 წელში სახე გამხდარი მიტრო ყაზბეგის ქუჩის შესახვევთან შემხვდა.

— დღე და ღამე ვმაცადინობ... წველს უნდა გავათაო უნივერსიტეტი. მეოთხე კურსზე ვარ... მომეცე ერთი პაპიროსი და სხ

ისევ კვასზე დავბატიე. ისევ ძველი პურმარილი მოიგონა და კვლავ ძველებურად ჩაიღიღინა:
 „ქუთაისში წვიმა მოდის“.. და სხვა.

ოთხი წლის შემდეგ, ე. ი. 1925 წელს მიტრო რუსთაველის პროსპექტზე ვნახე ისევ სახეამხდარი... მოქანცული... წვიმებით ხელში...

— მეოთხე კურსზე ვარ... წველს ვათავებ. ქუთაისში... „წვიმა მოდის“... მეტის თქმა აღარ ვაცალე. ლალიძის ყოფილ ღუქანში შეუხვეით და სიტროთი გაუმაჰპინძლი.

როცა გავათავებ, ამას ერთო-ორად გადავინდი. ვაზაფხულზე აგრონომი ვექნება — მითხრა მიტრომ და გამშორდა.

ვიდევ ახალი ოთხი წლის შემდეგ მიტრო ისევ რუსთაველის პროსპექტზე ვნახე, ისევ წვიმებით, უფრო ვამხდარი და მოქანცული.

— წველს ვამთავრებ... ჩვენი შეხვედრა და დაშორება ჩვეულებრივი შინაარსით განვითარდა.

ამ დღეებში მუშაობით მოქანცულია რედაქციიდან გამოვედი. ღამის თერ-

აქა ამბავი, ნიანგო, ვერ დიდი არაფერია, თუმცა მცირედც ხანდახან, საქირო დასაწერია. მიიღე ცნობა ახალი, მერწმუნე დასაჯერია, რომ დოსტაქარით შიმშილობს, დღეს ჩვენი პერიფერია.

—
 არეინ იფიქროს ამ „პოსტზე“ არ გვყავდეს „შტრიტი“ კაცია; შერიგვით გადმოგვიგზავნეს „გურული ჩვენი ნაცია“, რალა იქნება იმისი, რჩევა თუ „კონსულტაცია“, როდესაც თვითონ სჭირდება, საქიჩრეს „ტრეპნაცია“.

—
 არ ვიცი თუ ექიმს, სწავლულ კაცს, თუ რომ ეს მოეთმინება, სასადლოში ხალხის წინ ქუჩური ლანძღვა გზნება... ნუ ფიქრობს მისი მუქარის, რომ ვინმეს შეეშინება; თუ წავა ბარემ წასვლა სჯობს, და დროზედ წაბრავინება.

—
 იქნებ მოვიდეს ექიმი, ივადმყოფს დაეხმარება, რომ ცოდნა არ ანაცვალოს, შემოსავლისა წყაროსა. ტყავს არ აძრობდეს „აბორტით“ თეკლეს, თამროს თუ მაროსა. ისე ვით, როგორც ეს გმირი თავის ხელობას ხმარობსა. ავადმყოფებმა მიაშხეს; მეც ვიცი, რომ ეს სწორია: ლეონიდს სახლში ჰქონია თავის „ამბულატორია“, რჩეულ საქბილოს იქ იწვევს, ეს ხომ არ არის ჭორია. იქ „ჰკურნაის“, თანაც ტყავს აძრობს, როგორც წიწილას ჭორია.

—
 დასაშვებია ამ დროში, ექიმის ქცევა ასეთი... თუ მე ცილს გწამებ, იხილეს, დაბაში კედლის ვაზეთი. თურმე ხუთ მანეთს ღებულობს, ერთ ნემსის გაცვეთებაში. აწი ნატურით დაიწყებს, რახან მიზეზობს ვეებში. ჩამოუარე, ნიანგო. კბილი ჩააღლე კეფაში. მიუხე, რისიც ღირსია, მშრომელი ხალხის ყვლეფაში.
 —
 ოსმან-ალა.

თმეტი საათი იყო. 26 კომუნარის ზალის ბოლოს, რომ მიუახლოვდი. ნაცნობი ღიღინი მომესმა.

„ქუთა-ისში წვიმა მოოოდის ზესტა-ფონში და-რი-ააა“.

— მე ვარ მიტრო ვერ მიცანი. დღეს ბოტანიკაში გამოცდა ჩავაბარე და ცოტა ვადავკარი... მეოთხე კურსზე ვარ, პროფესორი ჩემი ყოფილი სკოლის ამხანაგის შვილია... მე თუ ვერ მოვესწარი, ჩემი შვილიშვილები მაინც მოესწრებიან ჩემს უმაღლეს სასწავლებლის დამთავრებას.

—
 თა ისევ დაღონებულად ჩაიღიღინა: „ქუთაისში წვიმა მოდის ზესტა-ფონში და-რი-ააა... ლექციები ვერ ვისწავლე ამ ჩემს თავ-შიი ქარია“.
 მიტრო... საწყალი მიტრო...
 მიღუჯა.

კაცხანძე გახლავთ გვარად, სახერხე ქარხნის ბუხალტერი. პაგონები ამშვენებდა წინაღ მხრებზე მინაკერი. დეზის წყარუნს აყოლებდა „ლოთი-ფოთი“ ახმახ ტანსა და საძირკველს უმაგრებდა ნიკოლოზის მეფის ტახტსა.

ამ დროშიდაც არ დაკარგა მიხეილმა ძველი „ტემპი“, მილიციის „ნაჩაღნიკაი“ მოგვევლინა „მოყმე კერპი“. ამ გმირისგან ბევრი იქნა ნაცემი და განაწყებები და ერთი კი განგმირული, ნაწამები, ანაკები.

შემდეგ სადღაც გადიმალა, შიატოვა ახალციხე და თავიდან ბიცილა გაიძვერა მელამ ციხე.

აქაც უნდა ითარეშოს და დასტოვოს რამე, „ღვაწლი“ — დაჰკათ, კმარა აწ მოთმენა! უყვარს ღვინო დაკვრა, ყანწი.

შეორე გმირს თუ არ იცნობთ ვაკაჩიასს... დაკათ ხელი.

საწყალს „ამდენ მუშაობით“

ლამის მოსწყდეს თურმე წელი, მუშებს ყურში ჩასურჩულებს წაუგლია „ვაჟაკს“ ენა:

„არაფერი რომ არ მოგდით — დაჰკათ, კმარა აწ მოთმენა! გირჩევენია დააყენო

და მოქაჩო ენის კლიტე. ჩვენ პილწევებს თუ არ ხედავ, მკედარო, თვალი გააჭყიტე. მექანიკის „პომომნიკად“

ლოქსო გახლავთ ცრუბენტელა; ტყუილების აუზია, გაიძვერა — როგორც მელა.

ცრუბენტელა შუბითიძე ბევრჯერ იქნა დაფერთხილი, მაგრამ ეხლა იკლავ თარეშობს ჰროტექციით მოვლენილი.

„ზავედუშათ“ გადაგვექცა ჩვენი ქარხნის ნორმადარი.

ყვირის, ჩხავის ვაებატონი, (რომ არ უჭრის სადმე ქარი?) სიმონია სახელათ და

ბლიაძეა გვარი მისი შო, ნიანგო გავაჭრელოთ, და შერაგსოთ დანაკლისი.

ნიანგოკრი

(ქუთაისიდან)

შვილო ანტო! გავიფიქრე, რომ კოოპერატივში მოწყობილხარ; თუ რამე კარგი მიიღო, უსათუოდ დიდ კაცებს დაურთვე ისე, როგორც მ. ბოკერია ამ იმასქნა და ბუდი არ გაგწირავს. შენც შეგრჩება ხახვივით ცოდვები და ყოველთვის კარგ ადგილზე იქნები.

შენ, რომ ჯაჭვის ნიღის რიადი გიყვარდა, იქაური უზარმაზარი შენობები დაანერია ვალიკომ ერთი წლის უკან და ქუჩაში დაყარა. ასე ამბობს „ძველს ვარღვევით“ და დაყრილ ქვას და აფურს მიწა და წვიმა არ ალოპოსო. ახლის ამშენება არ გვეჩქარება, რადგან იქედან გაძევებულ მცხოვრებლები ქე მოთავსდენ ნესტრიან დარაბებში.

მალაკის თერამში ძროხები პირდაღებული შესცქერიან დირექტორს და პ.კავშირის თავმჯდომარის კინკლაობის კამპანიას. გვემის განხორციელება დაიწყება მოუგლენის ჩაბრუნება შემდეგ.

გუმბარტში როგორაა საქმეო რომ მწუ, არა უშავს შვილო, არსენამ კასწმინდა წარმოება ძველი მუშებისაგან, მადფოცხა თვითკრიტიკა და მამაგვიეროდ გააღრმავა ქეიფი ქალეზში.

შვილო, შენ, რომ შენატროდი სახვაჭრობაში შავფულიძე — რომაქიძე მოწენიძეს, ეხლა გამსახლში არიან და ისე მოუხდათ იქ ჯდომბა, რომ თითო მეტრი წვერ-ულვაში დაუზარდათ. შენ არ გშვენის შვილო წვერ-ულვაში და ერთი გამსახლს.

გარე უბნის ბოსტანში ჩაყრილი თესლეული, მუდამ მოვრალი და გალენშილი დირექტორ დარახველიძის შიშით, თავს ვერ ყოფს ხევით. ამ რიგად აქოგლის კამპანია დარახველიძეს აღარ აწუხებს.

შვილო, შარშან, რომ ფული შემატანინე „შკოლში“ კრაოტის გამოსატანად კრაოტი გვერგება. მხოლოდ მაშინ, როცა ნოქრებს ძმაბიჭები გამოელოიკათ. ქე შინდოდა გამეგო, როდის მოთავდებოდა ნაცნობ-მეგობრების დაკმაყოფილება, მარა საკონტროლო ციფრი არ მიჩვენა ნოქარობა.


შენ, რომ მწერ — აქეთ თივას ამზადებენო, აქანე, შვილო, რაიკავშირის აგრონომი რაიშვილშვილი ჯერ თივის დაწონების კამპანიას აწარმოებს და სათიბი მანქანა ჩაკეტილი აქვს საწყობში. საკონტროლო ციფრი შინახლოი აქვს თოჯრაში მაგრად და იმედი აქვს არ დაეკარგება.

რაცხა-რაცხა ჭი დამრჩა, შვილო, დაუწერელი. მარა შიშოვებისათვის შენი ხლისტი

მუშაკოლოპი აგვარაკოპი

„მუშაკოლოპი აგვარაკოპი“ ბეებს ლებულობდა მამბ, როცა სამისო მასალა არ გააჩნდა.

ნახ. დონის.




— საჭიროა დებეშის გავზანა, რომ ხეები და დაკვეთები მიიღონ ავეჯეულობის ახალ პარტიაზე... მას ალა უკვე არის!



**თუ ასეა ფოსტა თქვენი
გამგე არის მოსახსენი**

სამტრედიის ფოსტაში თვეობრივ ჰყრია ჟურნალ - გაზეთები და სასწრაფო წერილები. არავინ ზრუნავს მათ გაგზავნაზე.


კია



მოდით ნახეთ ჩვენი ფოსტა, იქ აქვსენტი რომ ზის კობხად, ყველას რომ სდევს გასაფორად, პასუხს რომ არ იტყვის სწორად. ყველა პუნქტში თუ გვეყოლა, ჰირისუფლად ასეთები, მაშინ უნდა დაიხუროს ყველა ჟურნალ - გაზეთები რა აზრი აქვს, რომ გაზეთის ტირაჟები ტყვილა ვთვალთ; აქვსენტიმ კი, რაც მოუვა შეუყაროს ზვინად, კალოდ. რად გვინდა, რომ ჩვენმა გამგემ ჯამაგირი ტყვილა უღაპოს; წერილებს კი ვერ ვვლირსოთ ვერც უბრალოს, ვერც სასწრაფოს.

**ფართხილად შეადეთ კარია,
მჭიმი მოჩხუბარია**

ბათუმის პოლკოვნიკის გამგეს არა - ერთხელ მიუღია შენიშვნა ავადმყოფების უხეშად მიღებისათვის.



კარპეზ, თავი შეიკავე, დაიწყენარე ნერვებო, თორემ ნიანგს შეწყენ მოაქვს დაგეშილი ეშვებო თუ რომ გაგკრა, ვერც გაიგებ საით გადაეშვებო.

**არავის ეგონოს ზორია
ციბაძე პროკურორია**

სამტრედიის რაიონის პროკურორი ციბაძე სახელს უტებს ხელისუფლებას: ყველგან უფულოთ სარგებლობს ყველაფრით. დებოშითაც გაითქვა სახელი.

ნინაქორი

მე ვარ ბიჭი პროკურორი, გვარი ჩემი ციბაძეა: სადგურში რომ ჩხუბი ვქენი. მკლავადებს რომ მივბაძეო ქუთაისის სადგურში რომ მოვახდინე მე ფურორი, თქვენ ხუმრობა არ გეგომოთ სამტრედიის პროკურორი! არას დროს არ მიზრუნია მე საკუთარ ფიბაზეო. ყველა შიშით უნდა ძრწოდეს: „ვაი, მოდის ციბაძეო“.



ნიანგმა სთქვა: „ვინ ქაქანებს სამტრედიის მუხურაოხო. კულს ამოჰკრავ ისე მაგრად, ზურგი რომ გაუხურაოხო.“

**ოღონდ გამხტარი არ იქოს,
მათამი უშვარს ზალიკოს.**

ს. კავთისხევის (კასპის რაიონი) ბანკის თავმჯდომარემ ზალიკო კენჭაძემ გლეხებისათვის დასარიგებელი სიმინდი მიითვისა, რაც მოჩრჩა გლეხებს გადაუტყველა მსუქან - მსუქან ქათმებზე.



ბევრი რამე გავიგონეთ ამ ზალიკო კენჭაძეზე; კავთისხევის ბანკს რომ ცუცქენის, დაიყვანა კასა ფსკერზე. ში! და სიმინდს ბანკში მოსულს გასაყოფათ ღარიბ ხალხში, ვერ იმეტებს სხვისთვის თურმე და ტომრებით მიაქვს სახლში. მართო სიმინდს ხომ ვერ შესჭამს ზედ აყოლებს მსუქან ქათმებს, ამ ქათმებს კი ღარიბ გლეხებს თითო ლუკმა მჭადში ართმევს. უსიმინდოთ დარჩენილებს ხშირად ნახავთ მისას გლეხებს, — მკლავში ქათამ ამოჩრილებს უბრანუნებს შალვა ფეხებს. ამისთანა თავხედობა, არ შერჩება შალვას მკონი; აღბად სადმე გაეჩრება სიმინდი ან ქათმის ქონი.

გესტაფონიდან სოფ. სპირამდე

მივდიოდი ნელი ნაბიჯით. დანგრეულ გზებზე ტალახის ორმოებში გადაჩხას ვერიდებოდი. მოულოდნელად ვიდაცა შუახნის გლეხი წინ გადამეღობა.
— ვილუბები, მიშველე შენი ჭირიმე, გამიარე ჩქარა—მოთხრა მან და ხელი ჩამკილა.
რაც ძალი და ღონე გვქონდა მოგვტრცხლეთ და...
ორმა კაცმა სამშვიდობოზე ძლივს გამოვთრითი ლაფში ჩაფლული ხარ-ფრემი. გლეხმა არხალუხას კალთით შებლიდან ოფლი გამოიწმინდა; თემსაქოს ლაზათიანად შეუტურთხა და დახმარებისათვის მადლობა გადამიხიდა.
— თქვენ აქაური ბრძანდებით? — შევიკითხე მას.
— დაბ, სვირის „მ. ცხაკაია“-ს სახელობის არტელის წევრი ვარ.
— ხომ ჯგირით მიდის თქვენი არტელის საქმე?
— ეხ, ჩემო კარგო, ვერ არის ისე დაყენებული, როგორც წესია.
— რატომ...

— ხელს გვიშლიან არტელში შემობარული ვაჭრები და შავსილები: ჭურაძე მისა ყოფილი ვაჭარი, შავსიელი; ჭურაძე მიხეილი, ჩხიკვაძე სპირდონი — ბათუმის ვაჭრები; კაპანაძე გიორგი, კოვზირიძე იოველ, კაპანაძე ერემია, მიქაბერიძე ალექსანდრე (ალექსი), დავლაძე აბრამ, ბოჭორიშვილი ვახილ... ეს ხალხი იმის ცდაშია, რომ ძირი გამოუთხაროს არტელს.
— მერე რას უყურებთ? გძინავთ! რატომ დროზე არ გადახეეთ არტელს ბავენ ხალხისაგან?
— რაიკოლმეურნეობათა კავშირის ინსტრუქტორი პოპოვი ქე მობრძანდება ხოლმე ამ საქმის მოსააოარებლად. მაგრამ ისეც აშენდა მისი ოჯახი; იმის მაგიერ; რომ დახმარება გაგეწიოს, შეჯიბრს მართავს შავსიელბთან დვინის სმაში და გალეშილი უშედეგოდ ზესტაფონში ბრუნდება.
მეჩქარება, შენი ჭირიმე, თორემ ასეთ ამბებს ბევრს გეტყვიდი. მშვიდობით; განახე... გმადლობ! — გამომეშვიდობა და წავიდა.

გამგე კრიტიკას გედი

სწავლობს გიგა ტიტინა,
„მზემ შემოუტიტინა“.

ქურდები სათარაშო მატარებელი (სინამდვილე)

მოკრივე შევებულე პირველ აგვისტოდან მერგო.

გადეწვევით ქუთაისში წასვლა და რიონგესის მშენებლობის დათვალეობა.

ავიღე ბილეთი ქალაქის სადგურში პირდაპირ მატარებელზე, რომელიც ეხლახან დაუნიშნეს ქუთაისელებს. საღამოს უკვე რკ. გზის სადგურზე ვიყავი, სადაც ბევრი ძებნის შემდეგ, როგორც იყო, მოვიხებე სხენებულ მატარებელს. მივედი ვაგონთან და წესისამებრ მივაწოდე კონდუქტორს ბილეთი, რომელმაც დახედა და მითხრა:

— თქვენი ადგილი მეცნებავთნა!
შეუღდექი სხენებულ ნომრის ვაგონის ძებნას, მაგრამ არ შეგკამოთ ჭირმა—მე ის იმ შემადგენლობაში ვერ აღმოვაჩინე (ან როგორ აღმოვაჩინდი, როცა მატარებელს რვა ვაგონის მეტი არ ეჭა! გამოირკვა, რომ ბილეთის მოღარეს მოსვლია იაღლიში, როგორც ეს ხშირად ხდება. ბოლოს როგორც იყო შევძვერი მატარებელში.

— ვაგონები გაუწათებელი რატომ არის?
— შევეკითხე კონდუქტორს.

— ამაზე მეტად არ ვაპირებდი, ვინაიდან ერთი ლერი სანთელი მომიცენ და მეც იგი ავანთეო! — მომიგო მან.

ამასობაში მისცეს მეორე ზარი და გაუღეით გზას.

ერთი პატარა ბოხნა მქონდა წამოდებულს, რომელიც მივიღე თავქვეშ და მივეწვიე.

მცხეთიდან ახალი გასული ვიყავით, რომ შემომესმა დედაკაცის ხმაბაღლა ტირილი, მოსტევადა დაკარგულ ნივთებზე, რომელიც ქურდებს აეცოცებიათ. იმას მეორე მგზავრმა მისცა ხანი, ისიც სამუდამოთ გამოთხოვებოდა ჩამადანს. არ გასულა დიდი ხანი, რომ მესამემ მოიროო ყვირილი:— არიქა, მიშველეთ, ზურჯინი ამაცალა ქურდმაო. მა დროს მეზობელ ვაგონიდან გამოვარდა ერთი ახალგაზრდა ვაჟი და ანთებულ სპიკით დაიწყო საჯდომების ქვეშ რაღაცის ძებნა.

— კაცო ამისთანა გინახავს! ერთი პატარა ჩამადანა მელი თავქვეშ და ისე გამომაძრეს, რომ ვერ ვავიჯე! — წრიალებდა ახალგაზრდა.

რადს დავიძინებდი ასეთ არე-დარევაში: ხაშურიდან რომ ვავედიო, ცოტა მიწყნარდა და მეც შეუღდექი ძილს.

წიფის გვირაბიდან რომ ვავედიო, აშუშავდა ქურდების მეორე პარტია, მაგრამ ესენი ისეთი დახელოვნებული აღმოჩნდნენ, რომ ტანზე და ფეხზე ისე ხდიდნენ მგზავრებს, თითქოს მურმან ყრუს თავის ყმები შევილიან ტან-ფეხზე გაძრობაშიო. ძნელი სანგარიშო იყო—თუ რამდენე მგზავრი დარჩა უშარვალოთ და უღენსაცმელით.

ვისაც ეს ამბავი არ გჯერათ, კეთილ ინებეთ და გაისიერეთ სხენებულ მატარებელით. ხოლო ეს კი იცოდეთ — თუ რამე წაიღოთ, აუცილებლად ჯაჭვით მიიბიოთ ტანზე, აგრეთვე დაძინებთ ნუ დაიძინებთ, თორემ ვინ იცის აღარც ჯაჭვმა გომველოთ.

პირ. საფინანსო.

შენიშვნა: რედაქცია არ იზიარებს ავტორის აზრს ქურდობის შესახებ. თუ მართლაც მძინარ მგზავრებს ქურდავენ, რატომ არ გაქურდეს რკ. გზის აღმინსტრაცია, რომელსაც ასე მაგრად სძინავს და ყურადღებას არ აქცევს ამ მოვლენას.

„ნინაზი“.

რომობს გამგე კრიტიკა.
სატრფომ შეუჭრიტინა.
გიგავ, გეყოფა ჯდომა,
ეხლა კარგია სტომა.
წამო გავინავარდოთ,
ჩვენს თავს ბატივი დავლოთ.
ვერას გაიგებ! ცენტრი,
ვერც სხვა ვინმე ჩვენს მეტი...
აემღვრა გიგას გული,
იქეთ ქალი, აქ თოლი...
სტოვებს გიგა კაბინეტს -
ამბობს: — არ ვიქმ ამის მეტს!

გარედან ტურფა ქალი.
ცდილობს მოსტაცოს თვალი.
მოიჭროლებს აქ ავტო...
ჯდება ორი შიგ მარტო
ჩვენი გიგა სატრფოთი
მთელ დღეს დაქრის ავტოთი...
ხელამოს კი ბაოიბში,
ღვინოსა და ქალებში,
მიდის ღამე ალერსში
ძილი არ აქვს თვალებში...
მიდის ის სამსახურში
და ამბობს თავის გულში:
— აღარ ვიზამ ამის მეტს,
რას ვაკეთებ ჭამის მეტს!
ჯდება გაბვის ადგილას,
მთხოვნეობი ა დილას

არის მიტოვებული,
ზოგს თხოვნა აქვს, ზოგს ფული,
იწყებს შრომას კრიტიკა
აქაც შეუჭრიტინა...

„გიგავ, გეყოფა ჯაფა,
ლილით გვარგებს რძის ფაფა,
წამო გავინავარდოთ,
საქმე გვერდზე გადავლოთ.
ვერ გაიგებს ბრიგადა,
ვერც სხვა ვინმე ჩვენს გარდა.“

ისმენს გიგა ამ სიტყვებს,
საქმეს სტოვებს, ქალს მისდევს.
ამბობს: — გავინავარდებ,
ამ ქალსაც ბატივ დავდებ:
რასაც დღეს ამოვიღებ,
ჯამაგირის დროს ჩავდებ
მიჭრის ისეგ ავტოთი
გიგა თავის სატრფოთი.

მიდის დღე, მიდის ღამე.
გიგას თუ ქონდა რამე,
სულ გაფლანგა ბალებში,
ღვინონსა და ქალებში, —
და ჩავარდა ვალებში...

ზის, ზის გიგა კრიტიკა,
ქალმა შეუჭრიტინა:

გიგავ, გეყოფა ჯდომა:
ეხლა კარგია სტომა;
წამო გავიპარავოთ,
კიდეც გავიამაშოთ,
არვინ ეტყვის დიდ მართველს
ადგილს ვერვინ წავართმევს!
გიგამ თავი ასწია,

ფანჯრის ფარდა გასწია
და გასძახა ქალწვიას:
— არა, ქალო, ქალწვია,
დღეს ბრიგადა შეწვია,
რაც მოვაკლე საღაროს,
გამიხადეს სანაოლ.
არ სჯერავს სიტყვებს ქალი,
სცდილობს მოსტაცოს თვალი,
მაგრამ გიგა ვერ დგება,
ბრიგადას ეგვიორება —
შეიბრალოს იოთ ტოლი,
შინ ბავშვები და ცოლი,
აღვიარებ შეჯიომას
თუ აცლიან აქ ჯდომას,
გულცივია ბრიგადა,
საქმე აღარ მოგვარდა.
ზის, ზის გიგა კრიტიკა,
ფანჯარას აქვს კრიტიკა,
ვერ მიდის მასთან სატრფო,
ბნელი ბინა აქვს მარტო.
ველარ დადის ბალებში,
ვერ ნავარდობს ქალებში,
თავჩაკიდებული ზის და
დარაჯი ყავს კარებში.

პ. მოგლი

წყალტუბო

ნახ. დონის.



გამგზავრება



დაბრუნება

14



სონელ ძალს (ხონი). თქვენი გამოცანა არ დაიბეჭდებოდა, მისის ახსნის სიროთულის გამო, რომ კიდევ არ მომსვლოდა ასეთივე რთულად ამოსაცნობი გამოცანა. ჩვენ ორივეს ერთად ვებეჭდავთ. ყოველ შემთხვევაში, პირველობას თქვენს გამოცანას ვანიჭებთ.

პირველი (ე. ი. თქვენი) ასეთია. გამოცანას მოგახსენებ ბევრი არაფერია, — კიურეტკა ტარიანი აზორტების მკეთებელი ვლადიმერი ჩარკვიანი. მეორე (ესე იგი, რომელიც ჩვენ სხვისგან მივიღეთ): გამოცანას მოგახსენებთ ბევრი არაფერია, — საღორეშია და ჭყვირის.

ორივე ერთნაირად ძნელი გააოსაც ნობია. ორივე მგონი, ერთსა და იმავეს უნდა ნიშნავდეს, მით უფრო, რომ ჩარკვიანი სამოც მანეთს თუ ლებულობს თითო მუცლის მოშლაში.

ხვლიკს (სად. ცემი) თქვენს წერილს, რომელიც შეეხება საღორე ცემის უფროსს კრწია პაპავას, სათაური ასეთი აქვს: „კუზინას სამარე გაასწორებთ“. რა ჰქნას ნიანგმა? — გეცითხვით. ეს მართალია, მაგრამ საღორეებთან ეხლა გასასწორებლად სამარე? სადა გვაქვს გასაფუჭებელი მიწა!.. იმ მიწაზე, ვამჯობინებთ დავთო!.. თ კართოფილი და დარწმუნებულა ვართ ათვერ და ასვერ იმაზე მეტა კართოფილი მოგვიწევს, ვინემ პაპავას ექნება ქრთამები მიღებული.

ჩხნიშელს (სამტრედიის რაიონი). აჰა! დაუსრულებელი მუდარას შემდეგ ვებეჭდავთ შენს ლექსს: ეს გიგინეიშვილი ხერგია რა გავგინდა აგია! ..ღეფიციტიან“ საქონელს ძმა - ბიჭებს აძლევს იგია. კოლმეურნიობაში მოსულ საქონელს.

ანაწილებს აგია. რაც მოეწონება, მისთვის წაიღებს იგია... კარგი! სანამდი უნდა იძახო „აგია-აგია“. ხერგია გიგინეიშვილი დანაშაულს ჩადის, არ უნდა ლაპარაკი და ამისათვის ის პსუსსაც აგებს. მარა შენც, რომ დანაშაულს ჩადი ხარ, თუ გრძობ ამას? რას აწვლებ თავს, დასწერე პროზათ. იქნება ფიქრობ, რომ „აგია - იგის“ ძანილისათვის, პოეტის გვირგვინს დაგადგამს ნიანგი!

ატარა 'ნმს. (ხონი). თქვენი შმოქმედებიდან ყოველზე ნიჭიერი სტრიქონები ეს არის:

მივაკითხვით, ჯერ არის ქალაქ ხონის საავადმყოფოს. მესში ბევრი ისეთია, რომ ჭკუითაც ავადმყოფობს. ნიანგო, ყველა ეს ხალხი იცოდე — საავადმყოფოთა, გასწმინდე, როგორც რიგია, ეს ხონის საავადმყოფოთა. იპ! ღმერთმა შეარცხვინოს ჭკუით ავადმყოფობის უკეთესი ნიმუში. ჩვენ თბუნა: როცა ნიანგი ხონის ავადმყოფოში ჩამოვა ავადმყოფთა გასაინჯავათ, პირველად თქვენ ეჩვენეთ, თორემ დავგინებთ მეტად საშიშია.


საჯაროხმს. (საჯევანო) თქვენ გეწერთ, რომ საჯევანოს ბაზარში ცუდი ჰაერია და ამას ასე პოეტურად გვისურათებ: ერთხელ მომიხდა შემთხვევით გავლა ამ ქუჩისაკენ; ვაცი ვიხილე მდგომარე უტყერდა ფენისადვილსა რომ ატრიალებს ცულ სუნსა თურმე ეს არის ბაზარში და შენ ნიანგო, შენი ჭირიმე, ვფიქრობთ ალავამეთ ასეთსა. რას ავლაგმეთ, კაცო? ფენისადვილს? ასეთი აზრი ჯერ შენს მეტ არავის მოსვლია თავში.

იქ, სადაც ანტი ძირულა კლანით სდის, მარდათ ჩხრიალესი. საღ გზატკეცილი შენდება ნაღმები სქეს და გრიალებს, — თემია მთებზე ქიმული, — ზორითად წოდებულთა — ყოველმხრივ შემკული არის პატრონს კი მოკლებული. თემის მესავე-გრიგოლი „მარცხნივ“ და მარჯვნივ ხტუნავს, გლუნობა წყალში იხრჩობა, ვერ ხედავს ბონდსა, ვერც ნავსა! აქაურ კოლექტივების ქება, რა სავარგულია?! წესდება, დირექტივები ყველასთვის დაკარგულია. ქერი-ობლებს მიწებს ართმევენ უნაცვლოდ, თვითნებურად, გრიგოლთან საქმეს აწყობენ შინაურად და ძმურად. პოდისტე გაჩევილადე ხითხითებს, კმაყოფილია! „საჯარო ვაჭრობისათვის“ მას მუდამ მზად აქვს ფულია. დგამეულობით აივსო, ოდა ხელთ იგდო ძვირფასი, რო დირდა ოცი ათასი მან მისცა მხოლოდ ხუთასი. პარაშომს! სწყალობს გრიგოლი და მისი, სამართალია... ნიანგო! შენი კბილებით მათ გადაავლე თვალთა!

ცელიანი.

პირილე ფივფივპაის სივლირა

„სლუშებასთან“ ბინაც ვიშოვე, ავსწიე მალლა ცხვირი მე არა მაქვს დარდი ჭირიმე... დრანანა ბუჭა კირილე“



ნახ. დონის.

